აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

2017 წელი

დადგენილება № (17/18)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის პროცედურებს.

თავი II. გამოცდების ჩატარებისათვის მზადება და ორგანიზაცია

მუხლი 2. გამოცდების ჩატარებისათვის მზადება

2.1. უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით ყოველ სემესტრში იქმნება გამოცდების ჩატარებისა და ორგანიზების საუნივერსიტეტო კომისია.

2.2.დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ საგამოცდო დავალების ფორმირებისათვის საჭირო მასალების წარმოდგენა არაუგვიანეს სამი კვირისა გამოცდის დაწყებამდე ფაკულტეტის ადმინისტრაციაში ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელშიც შინაარსობრივი ცვლილების განხორციელება დასაშვებია, მხოლოდ რექტორის მოადგილის წერილობითი ნებართვის შემთხვევაში.

2.2. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყოფენ უწყისების მიწოდებასთან დაკავშირებით (დეკანატი–საგამოცდო კომისია–სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა – დეკანატი) პასუხისმგებელი პირის გამოყოფას და საგამოცდო სექტორს აწოდოებენ უწყისებს ელექტრონული სახით გამოცდის ჩატარებამდე 2 დღით ადრე, რომლებშიც არ იქნება არცერთი გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე სტუდენტი.

2.2. ფაკულტეტების დეკანის მოადგილეები უზრუნველყოფენ ცალკეული დისციპლინების მიხედვით, წინასწარ დადგენილი ელექტრონული ფორმით, ყოველგვარი შესწორებების გარეშე, საგამოცდო დავალების შედგენისათვის საჭირო მასალების, არა ფაკულტეტის

სპეციალისტების მიერ, არამედ პირადად გადაგზავნა-წარდგენას საგამოცდო სექტორში ელექტრონულ მისამართზე sagamocdo.seqtori@atsu.edu.ge **საკუთარი კორპორაციული ფოსტის გამოყენებით არაუგვიანეს ორი კვირისა გამოცდის** დაწყებამდე და აქტიურად ერთვებიან საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაში.

2.3.საგამოცდო ბილეთის ფორმირებისათვის საჭირო მასალის წარმოდგენა და შედგენა უნდა მოხდეს Sylfaen შრიფტით, ზომა 12 , თანდართული ფორმით (იხ. დანართი №1).

2.4. საგამოცდო სექტორ ამოწმებს ელექტრონულად მიწოდებული საგამოცდო მასალების დადგენილ ფორმასთან შესაბამისობისობას და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მასალა დაუბრუნდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას ორ დღეში და ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ან განმეორებით მოუმზადებელი მასალების მოწოდებისას საგამოცდო სექტორმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს რექტორის მოადგილეს შემდგომი რეაგირებისათვის.

2.5. საგამოცდო საკითხების მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში საგამოცდო სექტორი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ფაკულტეტის დეკანატს და რექტორის მოადგილეს, რომლის წერილობითი ნებართვის გარეშე საგამოცდო საკითხები არ დამუშავდება;დაევალოს საგამოცდო სექტორს ელექტრონულად მიწოდებული საგამოცდო მასალების დადგენილ ფორმასთან შესაბამისობის შემოწმება და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მასალა დაუბრუნდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს. ხარვეზი აღმოიფხვრას ორ დღეში და ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ან განმეორებით მოუმზადებელი მასალების მოწოდებისას საგამოცდო სექტორმა ინფორმაცია მიაწოდოს რექტორის მოადგილეს შემდგომი რეაგირებისათვის.

2.6. ფაკულტეტების დეკანატებმა უნდა მოახდინონ სტუდენტთა ინფორმირება გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების დროული გამოცხადება საგამოცდო აუდიტორიებში წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით;

2.7. სასწავლო პროცესისის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების საგამოცდო სექტორმა შეზღუდული

შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთათვის, საგამოცდოდ, უზრუნველყოს შესაბამისი აუდიტორიების გამოყოფა.

მუხლი 3. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება

3.1. შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზაცია დაევალოს გამოცდების ჩატარებისა და ორგანიზების საუნივერსიტეტო კომისიას, რექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით.

3.2. გამოცდების ჩატარების ტექნიკური ორგანიზაცია დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების საგამოცდო სექტორს.

3.3. საგამოცდო პროცესის ორგანიზაციული (გამოცდების გრაფიკის შედგენა და ბრძანების მომზადება, მათ შორის იმ გამოცდების, რომელიც კომპიუტერთან და დამატებით (minor) პროგრამაზე ტარდება) და ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყონ აწსუ საგამოცდო სექტორის ხელმძღვანელმა და სექტორის სპეციალისტებმა.

3.4. გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარიმართოს №1128 აუდიტორიაში, რომლის სათანადოდ მოწყობა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის პასუხისმგებელ პირს, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

3.5.დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ შესაბამისი საგნის პედაგოგის ან მათი ნდობით აღჭურვილი დეპარტამენტის წარმომადგენლის ყოფნა გამოცდის მსვლელობის დროს.

3.6. გამოცდები ჩატარდეს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3.7. შუალედური და დასკვნით გამოცდების ჩატარების განრიგი, სააპელაციო განცხადებების მიღება, გამოცდების სალიკვიდაციო პერიოდი განხორციელდეს რექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აკადემიური კალენდრის მიხედვით, რომელიც მტკიცდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

თავი III. გამოცდზე სტუდენტის გამოცხადება, უფლება-მოვალეობები და ქცევის წესები

მუხლი 4. სტუდენტის გამოცდაზე გამოცხადება

4.1. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს საგამოცდო ცხრილში მითითებულ დროზე;

4.2. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

4.3. სტუდენტი ვალდებულია გამოცდაზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

4.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არ ქონის შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

4.5.სტუდენტს გამოცდაზე უნდა ჰქონდეს მხოლოდ პირადობის მოწმობა და საწერკალამი;

მუხლი 5. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის უფლება-მოვალეობები და ქცევის წესები

5.1. სტუდენტი საგამოცდო ნაშრომს ასრულებს მხოლოდ ლურჯი ფერის კალმით;

5.2. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი იღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმერი სხვა დარღვევის განმეორებისას მოიხსნება გამოცდიდან;

5.3. სტუდენტი ვალდებულია შეამოწმოს მისთვის დარიგებული საგამოცდო ფურცელი, ხომ არ არის დაზიანებული. დაზიანების შემთხვევაში უნდა მიმართოს მეთვალყურეს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ პრეტენზია აღარ მიიღება;

5.4.გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს მეთვალყურის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება;

5.5. საგამოცდო ფურცელზე სტუდენტი აწერს მხოლოდ ჯგუფის ნომერს;

5.6.საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება;

5.7.შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა, როგორც წესი არ აღემატება 1, 5 საათს;

5.8. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა, როგორც წესი არ აღემატება 1,5 საათს;

5.9.საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ სტუდენტისთვის აკრძალულია აუდიტორიიდან გასვლა სამუშაოს სრულად დამთავრებამდე (განსაკუთრებულ შემთხვევაში სტუდენტი ტოვებს გამოცდას ერთ-ერთ დამკვირვებელთან ერთად;)

5.10. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივ ხასიათის შეკითხვაზე პასუხი არ გაიცემა, რადგან საგამოცდო სექტორის წარმომადგენელს არ აქვს უფლება შინაარსობრივ ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემისა;

5.11. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა ხელის აწევით უნდა მიმართოს დამკვირვებელს და შეკითხვა დასვას ხმამაღლა;

5.12. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს სტუდენტებს შორის საუბარი. ურთიერთგადალაპარაკების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორებისას იგი იხსნება გამოცდიდან;

5.13. სტუდენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსწაყოს გამოცდაზე ჩართულ მდგომარეობაში შეტანა;
5.14. სტუდენტი გამოცდიდან გაფრთხილების გარეშე მოიხსნება, თუ მას გამოცდის მიმდინარეობისას დამკვირვებელმა(საგამოცდო სექტორის უფლებამოსილმა პირმა) აღმოუჩინა ე.წ. „შპარგალკა“, მობილური ტელეფონი, ყურსასმენი ან სხვა ელექტრონული აპარატურა (ჩართულ მდგომარეობაში);
5.15. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის ნაშრომი არ გასწორდება;
5.16. სტუდენტმა სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს;
5.17. სტუდენტმა გამოცდაზე ნებისმიერი ტექნიკური სახის პრობლემის შექმნისას უნდა მიმართოს დამკვირვებელს/საგამოცდო სექტროის უფლებამოსილ პირს;
5.18. სტუდენტმა სემესტრული გამოცდების შედეგები უნდა მოითხოვოს გამოცდის ჩატარებიდან, არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. სტუდენტის გამოცდაზე გამოუცხადებლობა

4.1. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება, ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით. განმეორებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება: ძირითად გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, უნივერსიტეტისა და შეესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

4.2. თუ სტუდენტი გამოცდაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით (მაგ. ავადმყოფობის გამო), მაშინ მან უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს და ფაკულტეტის დეკანს განცხადებით და დაურთოს შესაბამისი ცნობა. ამ შემთხვევაში შესაძლებებელია სტუდენტი დაიშვას გამოცდაზე დამატებით სასესიო პერიოდში;

4.3. სტუდენტის მიერ გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაეთვალოს მხოლოდ შემდეგ შეთხვევაში:

ა. უნივერსიტეტის ინტერესი

ბ. შვილის შეძენა

გ. ავადმყოფობა

დ. უბედური შემთხვევა

ე. ოჯახის წევრის გარდაცვალება

ვ. განსაკუთრებული შემთხვევა (განიხილება რექტორის სათათბირო ორგანოს მიერ რექტორის მოადგილის წარდგინებით);

შენიშვნა: ***მიზეზი საპატიოდ ჩაითვალოს, თუკი სტუდენტი, ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი ფორმით წარმოადგენს დეკანატში ახსნა-განმარტებას/განცხადებას შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტთან (დამტკიცებული შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით) ერთად. გაცდენის საპატიოდ ჩათვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სათანადო პროცედურას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი.***

4.4. დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან შესაბამის დამატებით გამოცდამდე შუალედი არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები

მუხლი 5 . გამოცდის შედეგების აპელაცია

5.1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა (მესამე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები განცხადებას წერენ სტუდენტური მომსახურების სერვის ცენტრში, ხოლო პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები ელექტრონულ დეკანატში).

5.2. სტუდენტის აპელაციას 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით და წარუდგენს რექტორის მოადგილეს.

5.3.აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას ადგენს ოქმს (იხილეთ დანართი № 2, დანართი № 3) და აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას წარუდგენს რექტორის მოადგილეს, რომელიც ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას და გადაეცემა ელექტრონულ დეკანატს ელექტრონული მართვის სისტემაში ნიშნის ასახვის თაობაზე.

5.4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი

ოქმით(იხილეთ დანართი № 2, დანართი № 3) , რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორის მოადგილეს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს.

თავი III. პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე დაშვება - გამოცხადების პირობები

მუხლი 6. შუალედური/დასკვნითი გამოცდაზე დაშვება და გამოცხადება

6.1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა.

6.2. დასკვნით დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

დ)თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

გ) პროფესიული სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვისდადგენილ ვადებში;

ე) ძირითად და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოსარანაკლებ 10 დღისა.

დ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 30%-ზე ნაკლების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად.

დანართი #1

ფაკულტეტი	
დეპარტამენტი	
სპეციალობა	
სასწავლო წელი	
საგანი	
პედაგოგი	
გამოცდის სახე	
სემესტრი	

	შეკითხვის, დავალების, საკითხის ან ტესტის შინაარსი	ტესტის შემთხვევაში ჩაწერეთ წერტილით გამოყოფილი პასუხები	საჭირო სურათი ან ნახაზი (Inline თვისების მქონე)	პასუხისათვის საჭირო სტრიქონების რაოდენობა	1, 2, 3, . . .
1.					
2.					
3.					
4.					
5					
6					

7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					

შენიშვნა საკითხების ცხრილის ბოლო სვეტი ივსება შემდეგნაირად საკითხს მიეწერება 1,2,3, . . . რიცხვები. რაც ნიშნავს, რომ იქმნება შესწავლილი თემების პირობითი ჯგუფები. ბილეთის ფორმირებისას პედაგოგს შეუძლია შეარჩიოს ბილეთში შემავალი საკითხების რაოდენობა და გაანაწილოს იგი სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. იხილეთ მესამე ცხრილის განმარტება.

1	2	3

შენიშვნა ცხრილის პირველი სტრიქონი ნიშნავს, რომ მაგალითად, საგამოცდო საკითხებში პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. ჯგუფის ან სირთულის დავალებებია. ცხრილის მეორე სტრიქონი ნიშნავს, რომ პირველი ჯგუფიდან (სირთულიდან) ბილეთში შევა 1, მეორე ჯგუფიდან 3 და მესამედან 3 საკითხი (დავალება, ტესტი) და ა. შ.

ფაკულტეტის დეკანი :

დეპარტამენტის კოორდინატორი:

საგნის პედაგოგი:

დანართი №2

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სააპელაციო განხილვის შედეგად შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ცვლილების

ოქმი № _____ **”_____”_____ 201 წ.**

ფაკულტეტი _____

სპეციალობა _____

სემესტრი _____ ჯგუფი _____

სტუდენტი _____

საგანი _____

გამოცდა _____

(შუალედური ან დასკვნითი გამოცდა)

გამოცდის ჩატარების თარიღი _____

საგამოცდო შეფასება _____

შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე _____ / შ.კირთაძე /

საგნის წამყვანი პროფესორი _____/ /

კომისიის წევრები:

დანართი №3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სააპელაციო განხილვის შედეგად შუალედური და ფინალური გამოცდის შეფასების ცვლილების

ოქმი № _____ "_____"_____ 201 წ.

ფაკულტეტი _____

სპეციალობა _____

სემესტრი _____ ჯგუფი _____

საგანი _____

გამოცდა _____

(შუალედური ან ფინალური გამოცდა)

გამოცდის ჩატარების თარიღი _____

სტუდენტი _____

საგამოცდო შეფასება ____ შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

სტუდენტი _____

საგამოცდო შეფასება ____ შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

სტუდენტი _____

საგამოცდო შეფასება ____ შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

სტუდენტი _____

საგამოცდო შეფასება ____ შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

სტუდენტი _____

საგამოცდო შეფასება _____ შეფასება სააპელაციო განხილვის შედეგად _____

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე _____ / შ.კირთაძე /

საგნის წამყვანი პროფესორი _____/ /

კომისიი წევრი ----------